მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს. ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.


# მ უ შ ა


| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |


მოსკოვში რამდენიმე ალაგას პოლიციამ აღმოაჩინა ფარული სტამბები და ყუმბარის საკეთებელი ლაბორატორია. გემ. „სირია" ზედ დაუპულა 270 კაცი.


რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 43

შაბათი, 29 ივლისი, 1906 წ. თბილისი

№ 43



წირვა და ანდერძის აგება განსვენებულ

**ს ო ფ ი ო დ ი ა ს ა მ ი ძ ი ს ა**

შესრულებული იქმნება **შაბათს მკათათვის** 29-ს ქვაშვეთის წმ. გიორგი სეკკლესიაში, ხოლო დაკრძალვა იოანნე ღვთის-მეტყველის ეკკლესიის გალავანში (ვერაზე), რასაც ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ აუწყებს განსვენებულის მეუღლე **გრიგოლ დიასამიძე.**

ცხედარს გამოასვენებენ შინიდან (ოლგას ქუჩა, № 4) დილის 9 საათზე.



გ ა მ ო ვ ი დ ა

**ახალი წიგნი**

**ძველი და ახალი**

არჩილ ჯორჯაძისა.

იყიდება „მუშის" რედაქციაში და ქართვ. შორ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.

ფასი 25 კაპ.


ასო-ამწყობების თხოვნით მივმართავთ ყველა კორესპონდენტებს გზავნონ თავიანთი წერილები, მხოლოდ

**ე რ თ გ ვ ე რ დ ზ ე**

დაწერილი.

ვუმეორებთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში, რომ დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნონ ანგარიში წინანდელი ნომრებისა და დროზე მოგვაშველონ მისი ხვედრი ფული, წინაამდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევწყვიტოთ თქვენთან გაზეთის გზავნა.

თბილისი, 29 ივლისი.

Vne la mort!...

A. Hertzen.

გაუმარჯოს სიკვდილს! ასეთია ლოზუნგი რეაქციისა. გაუმარჯოს სიკვდილს! ასეთია ლოზუნგი კონტრრევოლიუციისა. სიკვდილი, ხოცვა და ჟლეტა,—აი მათი პროგრამა, მათი მოქმედების გეგმა. ხოცვა ფარული, ხოცვა ოფიციალური და ხოცვა ოფიციოზური, აი მათი მოქმედება.

როცა უსამართლობით, უხეშობით, სიმუხტლით და სიბილწით აჯანყებული მიმართავ ვაჟბატონებს, რომელთაც ჩვენი ბედნიერების მოწყობა უკისრნიათ ჩვენდა დაუკითხავად და მბძანებლის კილოთი მოსთხოვ ცალიერის სიტყვით, რომ შეაჩერონ ეს სიკვდილის გრიგალი, ისინი იღრიჭებიან და თან განუწყვეტლივ იმეორებენ: სიკვდილი, სიკვდილი იმათ, ვინც დაარღვია ჩვენი მყუდრო ბედნიერება თავისუფლების მოთხოვნით.

როცა სიბრალულით გული აგიძგერდება, ცრემლები თვალს დაგწვავს, როცა ერთი სიტყვით, გრძნობები ველარ გიძლევია და მოწყალებისათვის ხელს უწვდი ხალხთა ტანჯვისმეისტრებს, სთხოვ იმ თხოვნის კილოთი, რომელიც სიცოცხლეთა გიღირს სხვისთვის და არა შენთვის სიცოცხლეს,—კიდევ იგივე ცინიკური ღრეჭვა, კიდევ იგივე ცინიკური სიტყვები გესმის: სიკვდილი, სიკვდილი იმათ, ვინც დაარღვია ჩვენი მყუდრო ბედნიერება თავისუფლების მოთხოვნით.

ხსნა არ არის. და აი იმათ გულიდგან, ვინც გუშინ მზად იყო მერიგების ხელი გაეწია საზოგადოების სათავეში მდგომარეთათვის, ერთი ამონაკვნესი იკაფავს გზას:

სიკვდილი? კარგი ეგრე იყოს!

ჩვენს წითელს დროშაზე, რომელსაც დღეს ნიშნად მგლოვიარებისა შავი ძაძი აქვს წამოსხმული, სულ მუდამ ეწერა: „თავისუფლება, ძმობა, ერთობა ანუ სიკვდილი"! თქვენ თავისუფლება არ გინდათ. არა კი გინდათ, მიგრამ, მხოლოთ თქვენთვის გინდათ, სხვისთვის მხოლოდ მონობა გემეტებათ თქვენ თანასწორობა არ გინდათ. თქვენ გირჩევნიათ, რომ რაც თქვენია თქვენი იყოს და რაც ჩვენია ისიც თქვენი იყოს, სხვისთვის მხოლოდ შიმშილით სიკვდილის თავისუფლებაც საკმარისად მიგაჩნიათ. თქვენ ჩვენი ძმობა არ გინდათ,—ჩვენი ყმობისა გწყურიან და ამისათვის ჩვენი თავისუფლება ძმობა-ერთობის მოთხოვნაზე ძველებურად, ცინიკურად იღრიჭებით და იმეორებთ: სიკვდილი, სიკვდილი იმათ ვინც დაარღვია ჩვენი მყუდრო ბედნიერება თავისუფლობის მოთხოვნით.

გაუმარჯვოს სიკვდილს!

კარგია, გაუმარჯოს სიკვდილს, მაგრამ ჩვენ სიკვდილსა კი არა, იმ სიკვდილს, რომელიც მძლავრი და ულმობელი ხელით თავისუფლებას გზას უკაფავს, იმ სიკვდილს, რომელსაც ჯაჭვებ-აწყვეტილი თავისუფლება წასალეკად მონობასა უვლენს ჯოჯოხეთის ცეცხლად.

სიკვდილი იმათ, ვინც ჩვენ ბატონობას, ჩვენ საკუთრებას ხელი შეახო. იმათი ჩვენთან შერიგება შეუძლებელია.—ღრეჭვით, გაუმაძღარ სვავის კილოთი გაიძახით თქვენ.

კარგი, მაგრე იყოს!

ტყვიამ და ჯალათის ულმობელმა ბილწმა და მოყიდულმა ხელმა გადასწყვიტოს ვინ არის მართალი ჩვენსა და თქვენ შორის,—გვემუქრებით.

კარგი, მაგრე იყოს!

სიკვდილი იყოს უმაღლესი არგუმენტი,—მისძახით ხალხს თქვენ ადამიანის ლეშით უმაძღარნო და თან პულემიოტებს, ზარბაზნებს, თოფებს და სხვა კიდევ ჯოჯოხეთის მაშხალებს უყრით თავს თქვენს გვერდით. ომი, ომი შეუბრალებელი, თავზარ დამცემი, ომი გონების შიშით გამყინავი!

კარგი, მაგრე იყოს! სხვა რა უნდა სთქვა, სხვა რა დაგრჩენია!...

გული კიდევ ბოღმითა გევსება, გრძნობა გერევა, ზიზღს და სიძულვილს ერთი წამით სიყვარული და სიბრალული ჰფარავს და უნებლიეთ კიდევ ხელს იწვდენ იქით, საიდანაც, მხოლოდ სიკვდილის გამოძახილი მოისმის.

ხალხსა ბავშვები, ცოლები, ჰყავს! რა შუაშია უმანკო ბავშვი! რას ერჩით ქალს, რომელსაც ჯერ ტანჯვის მეტი სხვა უფლება და ბედნიერება არ გამოუცდია; რას ერჩით ქალს, რომელიც თქვენგან გაუბედურებული და გაუპატიურებული ერთ საფლავსაც ველარ იპოვის, რომ მასზედ ჩამოჰყაროს ის ცრემლები, რომელიც წარსულ და აწმყო ტანჯვავაებას მასში მდუღარე მდინარეთა ჩაუსახავს? სიბრალული, სიბრალული! უნებლიეთა გცდება ბაგეთაგან ეს სიტყვა, რომლის საშინელებას და სიმძიმეს თვითვე გრძნობ.

არა, არა, იღრიჭებიან სიკვდილის ბანაკში, ეშმაკებს წაუღიათ მაგათი ცოლები და მაგათი ბავშვებიც.

მაშინ თავზარი გეცემა, გონება გეყინება საშინელი მოჩვენებით, გრძნობები გერევა, გინდა ერთი უკანასკნელად კიდევ სცადო თხოვნა:

ნუ აღრმავებთ იმ ხრამს, რომელიც თქვენ ხალხისაგან გაშორებთ. ეს ხრამი ხომ მტვრადა და ტალახად ქცეულ ადამიანის ლეშით უნდა აივსოს. ნუ შვრებით მაგას?...

არა, არა, მოისმის სიკვდილის შეყვარებულთა ბანაკიდან, სიკვდილი, სიკვდილი იმათ, ვინც დაარღვია ჩვენი მყუდრო ბედნიერება თავისუფლობის მოთხოვნით.

გაუმარჯოს სიკვდილს!

კარგი, გაუმარჯოს სიკვდილს, მაგრამ ჩვენს სიკვდილს კი არა,—იმ სიკვდილს, რომელსაც თქვენ სიკვდილსავით გამხმარი ჩონჩხის სახე კი არ აქვს და ხელში ცელი კი არ უჭირავს, არამედ იმ სიკვდილს, რომელიც გაფითრებული მარატის სახით ჯოჯოხეთად მოგევლინებათ თქვენ და ზორბა გლეხის ნაჯახით იქნება აღჭურვილი.

გაუმარჯოს იმ სიკვდილს, რომელიც მძლავრი და ულმობელი ხელით თავისუფლებას გზას უკაფავს, იმ სიკვდილს, რომელსაც ჯაჭვებ-აწყვეტილი თავისუფლება ჯოჯოხეთის ცეცხლად მონობას მოუვლენს, იმ სიკვდილს, რომელიც სიკვდილითა სიკვდილსა სთურგნავს და სიცოცხლის ყვავილს — თავისუფლებას — გაპოხირებულ მიწაზე სისწრაფითა და სიმძლავრით ფურჩქვნის და აშიბინებს წინ თქვენი წითელი დროშა, გაგვიძლვება რომელსაც დღეს ნიშნად მგლოვიარობისა შავი ძაძი წამოუ-

სხამს და რომელიც ამ სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველ გრიგალში ამ შავ ძაძებს ან სულ მოიხსნის ან და მგლოვიარობის შავებით კიდევ უფრო დაიყურება.

„Rouge drapeau, conduit nos pas
Soilt notre guide dans les combats“ *).

კ. ი—ი.

*) ისპანიურ ანარქისტულ ჰიმნიდან: წითელო დროშავ, გაგვიძეხი წინ და ბრძოლაში ჩვენ ხელმძღვანელად იყავ.

# ახალი ამბავი

მოკლულ ტრამვაის დირექტორის ადგილზე ასახელებენ სამხედრო პირს, სახელდობრ კაპიტან ლილოვს; დღეს კი დირექტორის თანამდებობას ასრულებს იურისკონსულტი ყორღანოვი.

— როგორც გაზეთები იუწყებიან პეტერბურგში, შლისენბურგში მიტინგზე დასწრებისთვის ყოფილს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ რამიშვილს პასუხის გებაში აძლევენ.

— როგორც „ჩერნ. ვესტ.“-ს შეუტყვია ყოფილი სახელმწიფო საბჭოს წევრი ილია ჭავჭავაძე უკვე დაბრუნებულა თბილისში.

— სოფელ რუისიდან გვწერენ, რომ იქ მოუკლავთ 21 ივლისს აბრამ ედილაშვილი. მკვლელები მიმალულან. მკვლელობის მიზეზათ ედილაშვილის ჯაშუშობას ასახელებენ.

— ბაქოდან გვატყობინებენ, რომ იქ 25 ივლისს, სადგურის უფროსის თანაშემწეს შემთხვევით გავარდნია რევოლვერი, რომელიც მოხვედრია რკინის გზის ლიანდაგის შპალებს „პოდრიადჩიკს“ შიშოკინს. შიშოკინი გარდაიცვალა.

— როგორც ზემო-იმერეთიდან გვატყობინებენ, იქ ამ უკანასკნელ დროს სხვა ძალ-მომრეობასთან ერთად გახშირებულა ქალიშვილების მოტაცება. 12 ივლისს, ს. უბისაში 11 შეიარაღებული კაცი თავს დასხმიან ამაშუკელის ოჯახს და მოუტაცნიათ ქალიშვილი. იმისათვის, რომელსაც წინააღმდეგობა გაუწევია ძალზეუცემიათ შემდეგ არხეინათ წასულან და სოფელ ვარძიაში ჯვარიც გადუწერიათ.

— როგორც გავიგეთ სოფელ იძრეხევში გორის მაზრაში, მოუკლავთ წითელ-რაზმელი გრიგოლ წერეთელი.

### პასუხი ბ. პავლიაშვილის წერილზე.

ბ. პავლიაშვილმა გაზეთ „ოტგოლოსკის“ №-ში მოათავსა წერილი საიდანაც სჩანს, რომ ის „უხერხულათ“ სცნობს დღეს საზოგადოების წინ, პრესის საშვალებით, იმართლოს თავი. მას, როგორც თავათ სწერს, მიუმართავს სასამართლოსათვის, სადაც, ალბათ, ფიქრობს სიმართლის გამომჟღავნებას.

ბ. პავლიაშვილის ასეთ ქცევაში ჩვენ ვხედავთ მხოლოთ უარის თქმას თავის გამართლებაზე.

მაგრამ თუ სასამართლოში მაინც და მაინც მიდის, სიმართლეს ვერც იქ დამალავს. მხოლოთ ეჭვი გვაქვს, რომ რაიმე ჭეშმარიტი თავის გასამართლებელი საბუთი წარადგინოს ბ. პავლიაშვილმა, თუნდაც სასამართლოში. ჩვენ გვაქვს, სხვათა შორის, ერთი ნიმუში პავლიაშვილისაგან თავის მართლებისა და დამამტკიცებელი საბუთების წარდგენისა და ვფიქრობთ, ასეთი საბუთების წარდგენა თუ აქვს მხედველობაში.

აი ეს ნიმუშიც: როცა პავლიაშვილი ნამუშევარი „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ერთ მშვენიერს დღეს მისულა ა. გ. ჯ.-თან და წინდაწინ უთხოვნია ფული მეტათ საჭირო საქმისათვის, სახელდობრ, თითქოს დედა მოკვდომოდეს და იმის დასასაფლავებლათ სდომებოდეს. ა. ჯ.-ს, რასაკვირველია, მიუცია ფული. რამოდენიმე დღის შემდეგ ა. ჯ. ს, შეხვედრია პავლიაშვილის დას, რომლისაგანაც შეუტყვია, რომ მათ დედა არა თუ არ მოკვდომიათ, ავათაც კი არ ყოლოდათ. ასეთის მოტყუებით ნაწყენს ბ. ა. ჯ.-ს საყვედური უთქვავს პავლიაშვილისათვის, მაგრამ უკანასკნელს არა თუ არ შერცხვენია და სიმართლე არ უთქვამს, პირიქით საწყენათ მიუღია ასეთი ეჭვის მიტანა მასზე და გადაჭრით დაჰპირებია, რომ რადგან არ გჯერათ დედაჩემის გარდაცვალება, მაშ დასამტკიცებელ საბუთებს მოგიტანთო.

ამ ფაქტს ბევრი ახსნა აღარ ესაჭიროება, რადგან ეს აშკარათ ახასიათებს ბ. პავლიაშვილის სიმართლის მოყვარეობას და „დამამტკიცებელი საბუთების“ წარდგენას.

ამიტომ აღარ გვიკვირს, რომ ბ. პავლიაშვილი სასამართლოსაკენ ასე გულმოდგინეთ მიისწრაფის.

რაც შეეხება გაზეთ „მუშაში“ მოთავსებულს ამბებს ყველა ჭეშმარიტებაა, და თუ საჭირო იქნება, დაწვრილებითაც დავამტკიცებთ.

„შურეული ნაცნობი“.

### ღია წერილი ბ. გაბრიელ (იგივე ჭიჭიკო) არჯევანიძეს.

წარსულ წელს მე დავუდექი წლიურად ბ. ჭიჭიკო არჯევანიძეს „ბაკალეინი“ სავაჭროში. გავიდა რამდენიმე დღე ჩემი დადგომის შემდეგ და ბ-ნმა არჯევანიძემ გამომიცხადა: შენ აქ—ქუთაისში—ჩემთვის საჭირო აღარა ხარ და კურსების აბანოებზე უნდა გაგზავნო სამუშაოდო. (კურსების გოგირდის წყლის აბანოები ბ. არჯევანიძეს ეკუთვნის). ჩემთვის ასეთი განკარგულება დიდი საწყენი და საზარალო იყო. მაგრამ რა უნდა მექნა? დავთანხმდი, მეტი გზა რომ აღარ მქონდა. თუ როგორ გვეპყრობა ბ ნი არჯევანიძე მუშებს, ამაზე აქ აღარ ვილაპარაკებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ არც ერთ უშვერ და უადგილო სიტყვებს არ გვაკლებდა და ხშირად ჯამაგირსაც გვიკვეთავდა. ჩვენც შეძლებისდაგვარად ვუმკლავდებოდით მის გაუმაძღარ მადას და ის იყო თითქმის კიდეც ავლაგმედ, მაგრამ დიდკა თუ არა რეაქცია, გაიმარჯვა ჩვენმა ალა-ხაწეინმაც და მიჰყო ხელი ჩვენს დათხოვნას ადგილიდან. დავეღრიჯე, ნუ დამითხოვ მეთქი რადგანაც მე დღიური კი არა, წლიურად დაქირავებული ვარ მეთქი, მაგრამ ჩემმა მუდარამ არ გასჭრა იმაზე და გამომაგდო ქუჩაში. მეც მოვითხოვე ანგარიშის გასწორება. ბ. არჯევანიძემ, როგორც მოსალოდნელი იყო მიმართა სხვა და სხვა ბრიკებს

# ფელეტონი

### ხეციერი მთავრობა და მისი კანონმდებლობა.

(გაგრძელება) *)

ამასთანავე იმ მძლავრმა გონებრივმა მოძრაობამ იმ **განათლებამ**, რომელმაც საბერძნეთში მიაღწია მაშინდელ დროში შესაძლებელ განვითარებას, უფრო და უფრო მოეფინა სხვა მეზობელ ქვეყნებს და შეიტანა ამ ქვეყნებში თავისუფალ აზროვნების მიდრეკილება, ძირი გაუთხარა სარწმუნოებათა ხაოსს, სარწმუნოებათა, რომლებიც ერთი მეორეს წინააღმდეგათ უფრო და უფრო მრავლდებოდენ და ამით ჰკარგავდენ თავიანთ სარწმუნოებრივ ავტორიტეტს, რომლის მაგიერად ვრცელდებოდენ სხვა და სხვა თავისუფალი **ფილოსოფიური** სისტემები. და აი, ეს გონებრივი კულტურული მიმართულება იქმნა შეჩერებული და დახშული იმ ჰოლერით, რომელსაც ქრისტიანობა ეწოდება, რასაკვირველია არა თავისი ღირსებით არამედ იმ პოლიტიკური და ეკონომიური შინაარსის საშვალებით, რომელმაც დასცა საბერძნეთის საზოგადოებრივი კულტურა და აღორძინა რომის იმპერია.

პერიკლის დროს გამეფდა დემოკრატია რომელიც მეტათ თუ ნაკლებად აერთიანებდა ხალხს; სპობდა უფლებათა იერარხიას თვით „დემოკრატიის კლასში“, მაგრამ ბეგარათა, ვალდებულებათა იერარქიას კი სტოვებდა იმათთვის ვინც „დემოკრატიის კლასს“ ქვევით იდგნენ.

პოლიტიკურ და ფილოსოფიურ თავისუფლებისკენ მისწრაფებასთან ერთად დაიბადა ქონებრივი, ეკონომიური თავისუფლებისკენ მისწრაფებაც. სოციალურ ნიადაგის ძვრამ შეანძრია მასზედ აღმოცენებული, პოლიტიკური მცენარეც. ათინელი ორატორი იზოკრატი, რომელმაც ხერონეისთან ბერძნების დამარცხების გამო სიმშილით მოიკლა თავი, ამბობდა, რომ, „მდიდრები არჩევენ თავისი ქონება ზღვაში გადაჰყარონ, ვინემ ღარიბებს მისცენ ის“, და ღატაკი მსაჯულები ამტყუნებენ ბრალდებულ მდიდრებს იმისთვის, რომ გამოწურონ მათ თავიანთი ჯამაგირები. ეს დემოკრატი ისე როგორც აბსოლიუტური მონარქია ფეხით სთელავს ყოველ უფლებას და სამართალს; კარის კაცების მაგიერობას, როლს დემაგოგები თამაშობენ და სხვა. ერთმა საბერძნეთის უდიდესმა არქიტექტორმა გიპოდამმა, რომელმაც ფურია, როდოსი და ათინის ნავთსადგური პირეი ააშენა შეადგინა იდეალური სახელმწიფოს პროექტი; ფედონმა მოასწრო მალტუსს თეორია ხალხის მეტ გამრავლებისა და ცდილობს შეაჩეროს ხალხის რიცხვი ერთ დონეზე; ფალეი ხალკედონელი, პირველი კომმუნისტი ცდილობს ეკონომიურად და აღზრდით გაათანასწოროს ყველანი, პლატონის საზოგადოებრივ თეორიაზე მეტია ლაპარაკი, ის ბევრმა იცის. და აი სწორედ როდესაც ძველი საბერძნეთის საზოგადოების გულში იბადებოდა ახალი კულტურა, მაშინ მოუსწრო რომის სალდათურმა, უხეშმა მხეცურმა ხელმა და ერთი დაკვრით გაანადგურა ეს საზოგადოებრივი მიმართულება და დაუდვა საფუძველი რომის საზიზღარ დესპოტიას, რომელმაც თავის პოლიტიკურ და სამხედრო უმაღლეს განვითარებასთან ერთად მიაღწია უღრმეს გონებრივ სილატაკეს და ზნეობრივ წუმპე.

რომის სამხედრო, ტლანქ სახელმწიფოს გამარჯვებამ ძველი კულტურის თავისუფალ კომმუნისტურ მისწრაფებაზე, მისცა კაცობრიობას რომის იმპერია მთელი თავის სისაძაგლით—ქრისტიანიზმის გამარჯვებამ თავისუფალ ფილოსოფიურ მოძრაობაზე მისცა ქრისტიანული დოგმატიზმი, ინკვიზიცია და მონათა სარწმუნოება.

პლუტარხი ამბობს: *) „უმაღ ქალაქს შეუძლია იარსებოს უსახლებოდ და უმიწოდ, ვინემ **სახელმწიფოს** ღმერთების რწმენას მოკლებულს. სარწმუნოება შეადგენს

*) იხილე მუშა № 38.

*) проф. докт. Вильгелма Вальера. Возник. христ. и распостр. его на востокѣ.

დამალო რამდენიმე თუმანი. კვლავ ჩემი მოვითხოვე, და ის პოლიციით დამემუქრა, მეც შევშინდი და ხმა ჩავიკმინდე.

ახლა კი ვხედავ, რომ ბ. არჯევანიძეს ჩემს ადგილზე სხვა დაუქირავებია და ჩემთვის ჯერაც ანგარიში არ გაუსწორებია.

ვიწვევ ბ. არჯევანიძეს სამედიატორო სასამართლოში. მე ჩემის მხრით დავასახელებ ორ ამხანაგს.

წინადადებას ვაძლევ ბ ნ არჯევანიძეს ამ წერილის დაბეჭდვის დღიდამ ერთის კვირის განმავლობაში დანიშნოს კაცები და პასუხი მომცეს ან გაზეთის საშუალებით, ან კერძოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში მე მეცოდინება, რომ ბ. არჯევანიძე გვერდს უხვევს ჩემს მოთხოვნას და მეც მაშინ სხვა გზას მივმართავ.

მუშა იაკობ ტაბატაძე.

---

## სოხუმის რამე-რუმე

—

ყველაზე ცუდი ის არის, თუ რომელიმე მხარე ასე თუ ისე ჩამოშორდება სხვა მეზობელ ქვეყნებსა და თავის კულტურულ ზრდა-განვითარების გზას არ მისცემს ფართო და ვრცელს ასპარეზსს. ცხადია, იქ მცხოვრებნი მოწყვეტილნი არიან საზოგადო მოძრაობას, ხალხის ზრდა-განვითარებას და წარმოადგენენ „მკვდარ სულებს“. იქ საერთოდ ყველანი და თითეული მცხოვრებთაგანი განსაკუთრებულ პირობებში გრძნობენ თავიანთ თავს; რომელთაც ამა თუ იმ დღის რაიმე სენსაციონური მოვლენანი ჩვეულებრივად მიაჩნიათ. ასეა, მაგალითად სოხუმის მცხოვრებნი.

მას შემდეგ, რაც რეაქციამ გაიმარჯვა ამ დღეებში პირველად მოვხვდი სოხუმში; მაგრამ ნეტა სულაც არ მოვსულიყავი! არ მენახა ჩემის თვალით ყველა ის სიდუხჭირე და შეუგნებლობა აქაურებისა, რომელიც ყოველ ადამიანს ეკალივით თვალში ესობა, და გულს სჩხვლეტავს.

ნაშუალამევის ოთხი საათი იქნებოდა. ქალაქი ძილს მისცემოდა. ქუჩებში სამარისებული სიჩუმე იდგა. უცბათ თოფებმა დაიგრიალა. ზარდაცემული ლოგინიდან წამოვარდი და კედელს მივეფარე სულგანაბული, აცახცახებული; ყური დავუგდე. სროლას განაგრძობდნენ. ბოლოს, რამდენიმე წუთის შემდეგ მიწყდა, მხოლოდ აქა-იქ თითო ოროლა გაისმა და ამას მოჰყვა ნელის ხმით ბაიათი. როდესაც ყველაფერი მიწყნარდა და სიმღერის მეტი არა ისმოდა-რა, დიდის სიფრთხილით ფანჯრიდან გადავიხედე და იქვე, ქუჩაში მდგომ ღამის დარაჯს მივმართე: „რა ამბავია, ვის ესვრიან მეთქი? „Ничаво, баринъ, это абхазь гулаитъ“-ო მიპასუხა. „მერე განა სროლა აკრძალული არ არის და მით უმეტეს, ღამე? ან პოლიცია სადღაა, რას აკეთებს; რატომ არ დააპატიმრებს წესიერების დამრღვევს მეთქი?—„რასა ბრძანებ, ბატონო, პოლიცია აქ სად არის, განა ამ შუაგულ ძილში თავს შეიწუხებს?“ ამ პასუხმა მეტის-მეტად გამაკვირვა. მეორე დღეს იმავე კითხვით მივმართე ჩემს ნაცნობებს და ამათაც იგივე პასუხი მომცეს: „აფხაზები აქ, რაც უნდათ იმას ჩადიანო“.

მართლაც, რომ დავაკვირდი, მართალი გამოდგა. სხვებს რომ უბრალო დანის ტარების ნებაც არა აქვთ, აფხაზები თავით ფეხამდე შეარაღებულნი არიან; სხვები რომ ხმა მაღლა ვერ დაილაპარაკებენ, ესენი შუაღამისას, როდესაც ქალაქი შუაგულ ძილშია, ქუჩა-ქუჩა დადიან, ყვირიან, მღერიან და რეყოლვერებს ისვრიან! არც პოლიცია, არც მთავრობა მათთვის არ არსებობს!.. და ხალხიც, ის ხალხი, რომელიც ყოველ წუთსა და ფეხის გადადგმაზე შეწუხებული და შეურაცყოფილია მათგან, ხმას არ იღებს!!.. ეს უკანასკნელი-კი ყველაზე საკვირველია! მაგრამ სოხუმელებისაგან რა უნდა გაგვიკვირდეს!? თუმცა აფხაზებმა იმ თავითვე დიდი სიმპატია დაიმსახურეს მთავრობისა, მაგრამ თუ ამდენად „ნდობით აღჭურვილნი“ და „ტახტის ერთგულნი“ იყვნენ ეს-კი არ მეგონა. სირცხვილი მაგათ! იმ დროს, როდესაც მთელი რუსეთის ხალხი ზიზღს უცხადებს ეხლანდელ მთავრობას, ამათ თავიანთ ქვეშევრდომული ერთგულობა, სული და გული მთავრობას ფიანდაზათ გადაუშალეს. ნუ თუ ვერ მიმხვდარან, რომ მთავრობა, როგორც ყოველთვის, ეხლაც მათი სიბრმავითა და უვიცობით სარგებლობს და მათივე ძმებთან საბრძოლველად გამოჰყავს?! ნუ თუ მომავალზე არ ფიქრობენ? რას იტყვიან მაშინ, როდესაც დამარცხებული მთავრობა მაგათ ზურგს შეაქცევს და იძულებული გახდება წარუდგნენ ვით დამნაშავენი გამარჯვებულ ხალხი! წინაშე? რა პასუხს გასცემენ ხალხის მაგრამ ამის პასუხს თვით ცხოვრება მოგვცემს.

დიდი ხანია სოხუმელები მოუთმენლად მოველოდით ახალ გაზრდა არტისტებისგან შემდგარ „ახალი დრამის“ ამხანაგობას და როგორც იყო გვესტუმრენ 12 ამ თვეს. პირველი წარმოდგენა გამართეს ხუთშაბათს, 13 ივლისს. წარმოდგენილი იყო „გაზაფხულის ნიაღვარი“ დრ. 4 მოქმ. კოსორტოვისა, თარგმანი ვ. გუნიასი მეორეთ „სიძე—სიმამრი“ კომ. 3 მოქმ. ვ. გუნიასი მესამე—„ფერდინანდ ლასსალი“ დრ. 4 მოქმ. სენ-ბენელისა თარგ. დ. ჯაშისა და მეოთხე—ცნობილი პიესა მუშების ცხოვრებიდან „ჟან-და-მადლ-ენა“.

ყველა პიესებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე მსახიობთ ეტყობათ, რომ ამ სიმპატიურსა და ნაყოფიერ საქმისთვის უხუმრად მოუკიდნიათ ხელი. შეწყობილი თამაშობა და როლების ცოდნა სრულიად აკმაყოფილებს მაყურებლის ესტეტიურ გრძნობას, მაგრამ... სოხუმელებმა აქაც დიდი გულგრილობა გამოიჩინეს და ამის მიზეზი-კი ჩვენი ერთი ძლიერი და, როგორც თითონ ამბობენ, შეგნებული პარტიის წარმომადგენელნი იყვნენ. სოციალ-დემოკრატებმა აქაც გამოიჩინეს თავიანთი ბიუროკრატიული უნარი. და მოინდომეს წმინდა ხელოვნების ხელში ჩაგდება და მაზედ გაბატონება. ჯერ არტისტები გემიდან არც კი იყვნენ ჩამოსული, რომ მთელ ქალაქში მოსდევეს ამბავი: „ფედერალისტების დასი ჩამოვიდა — და მათ შორის ანარქისტებიც ურევიაო; სოც. დემ. ხომ სიტყვა „ფედერალისტი“ და „ანარქისტი“ თუ გაიგონეს, ორი დღე ვერაფერსა სჭამენ და სამი ღამე მათ თვალებს ძილი აღარ ეკარება. გასწიეს აქა-იქ

---

შემაკავშირებელ რგოლს ყოველი საზოგადოებისას, ყოველ **კანონმდებლობის** დასაყრდნობს“. მართალია პლუტარხი, სახელმწიფოს უსარწმუნოებით არსებობა არ შეუძლია, რადგან სრული ექსპლოატაცია ადამიანის პიროვნების მაშინ არის სრული როდესაც ყოველმხრივია: ზნეობრივი, გონებრივი და ნივთიერი, ამისთვის კი სახელმწიფოც და სარწმუნოებაც, ორივე საჭირო არიან.

მაშასადამე თუ სახელმწიფო და მისი კანონები ურელიგიოთ ვერ იარსებებენ, როგორც ერთი მეორეს დამატება, მაშინ ცხადია, რომ სარწმუნოება და ღმერთი ერთი, საერთო უნდა იყოს, რადგან სახელმწიფო და მისი კანონი ერთი, საერთოა ყველა ქვეშევრდომებისთვის. სახელმწიფოს ერთიანობის ინტერესები მოითხოვდა, რომ მრავალი სხვა და სხვა ნაციები რომლებიც შედიოდენ რომის იმპერიაში, გაერთიანებულიყვნენ ერთ რომის სახელმწიფოის ერთ სახელმწიფო სარწმუნოებათ; ამ გამაერთიანებლად ხალხთა და სარწმუნოებათა შეიქმნა კონსტანტინე. „Одно стадо и одинъ Пастырь.“ Едино Римское государство, одинъ его Императоръ. ქრისტიანიზმი თავის სისუსტის დროს ცდილობდა თავის გავრცელებას დარწმუნებით, ცხოვრების მაგალითით, მაგრამ რამოდენად იზრდებოდა რიცხვით და ძალით იმოდენათ უფრო და უფრო პოლიტიკური უფლობის მოტრფიალე ხდებოდა, დევნილიდან მდევნელად ხდებოდა და ცდილობდა, სახელმწიფოში სახელმწიფოს დაარსებას. როდესაც დიოკლეტიანმა (315 წ.) უარი სთქვა ტახტზე კონსტანტინეზე, რომელიც ტახტის მაძიებელთაგანი იყო, კარგათ მიხვდა*) პოლიტიკური ურთიერთობა, რისმელზედაც უნდა დაემყარებინა თავისი პოლიტიკური მოქმედება. ის ჩაუდგა სათავეში ქრისტიანულ პარტიას, ამის გამო მან შეიძინა რომის ყველა კუთხეებში მრავალი მომხრეები, როგორც საზოგადოებაში ისე ჯარში, იმ ომში, რომელიც მოხდა მილვიანის ხიდის მახლობლად გამოჩნდა კონსტანტინეს პოლიტიკური ანგარიშის სისწორე. მაქსიმინის და ლუცინიოსის სიკვდილმა დაამთავრა ეს ანგარიშები და კონსტანტინე შეიქმნა რომის ქრისტიანი იმპერატორი. ამის შემდეგ დაიწყო ქრისტიანული სარწმუნოების გადაქცევა დევნილისაგან მდევნილად; როგორც დღეს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ისე მაშინდელი ქრისტიანული პარტია, ამ დღიდგან მოკიდებული გარდა ისეთი თავშესაფარი, რომელშიაც, შედიოდენ ადგილებიზა, სარგებელიზა და ძალიზა, თუმცაღა შემსვლელნი გულით კერპთაყვანის მცემლები იყვნენ, მაგრამ გარეგანად ქრისტიანობდნენ და არც ქრისტიანული სარწმუნობა არ მოითხოვდა მეტს, რადგან უფრო გავრცელებას ცდილობდა ვინემ თავის პირველი მიზნების დაცვას. ამგვარად იმათ შეასრულეს ქრისტიანიზმის პაგანიზაცია**) ისე როგორც ბურჟუაზიულმა ელემენტებმა დღეს მოახერხეს სოციალიზმის ბურჟუაზიზაცია სოც.-დემოკრატიული სახელწოდების მფარველობის (прикритie) ქვეშ.

ამგვარად მიუხედავად იმისა რომ სხვადა სხვა გზით მიდიოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში საშინლად ებრძოდნენ ერთმანეთს, სახელმწიფომ და ქრისტიანულმა სარწმუნებამ შემდევ დაინახეს, რომ ისინი ორივე ერთ და იმავე მიზნისთვის იბრძოდნენ: **საერთო მიზნების** კერძო მიზნებზე **გასაბატონებლად.** თუ რომი ესწრაფოდა მთელი ქვეყნის ბატონობას, ქრისტიანული სარწმუნოება მიისწრაფოდა ერთ რწმენად ერთ აღსარებად გადაქცევას. რადგან ქრისტიანიზმმა ისე, როგორც დღეს სოც.-დემოკრატიულმა სარწმუნოებამ დაჰკარგა თავისი რევოლიუციონური ხასიათი მით უფრო, რამოდენად უფრო და უფრო უმაღლეს წრეებში მოიპოვა გავლენა, ამიტომ სახელმწიფომაც შესწყვიტა მისი დევნა *) ქრისტიანულ სარ-

*) Draper. Les conflits de la science et de la religion. 29 p. huit. éd. F. Alcon.

**) Ib.

*) Исторія человѣчества редак. Гельмольта т. IV христіанство.

აგიტაცია და ისე ხელოვნურადაც, რომ მათთვის რომ ქუდი თეატრში შეგეგდო გამოსატანად აღარ შემოდიოდნენ. ამ სახელით მონათლულმა არტისტმა ორივე წარმოდგენა ფარულ თეატრში ითამაშეს. საბრალო „მოწინავე და შეგნებული პარტია“! არ იციან, რომ ხელოვნება ყველა პარტიებზე მაღლა სდგას, სრულიად დამოუკიდებელი და არც შეიძლება რომელიმე პარტიას ეკუთვნოდეს.

ამ მხრივ არც ფედერალისტები ჩამორჩნენ სოც.-დემოკრატებს. იმათაც საკმაო გულგრილობა გამოიჩინეს ხელოვნებისადმი.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო ჩვენს „ახალ დროში“... სოციალ-დემოკრატები თუ პრინციპის გულისათვის არ მოდიოდნენ თეატრში, ფედერალისტები-კი იმიტომ, რომ მეტის მეტად „პატრიოტები“ არიან... ყველაფერი თავიანთი უყვართ და პატივსა სცემენ“... „სცდილობენ სამშობლოს აღორძინებას, აყვავებას“. მაშ ტყვილად კი არ აკერიათ ენაზე „სამშობლო“... ტყვილად კი არ უწოდებენ თავიანთ თავს „ფედერალისტებს“... მაგრამ ყველა ამას გაიძახიან მხოლოდ სიტყვით და როდესაც საქმე საქმეზე მიდგება — ზოგი ავად არის, ზოგს არა სცალია და სხვ...

ძალიან ბევრი არიან აქ მგლოვიარენი, რის გამოც თეატრში ვეღარ მოდის თითქმის მთელი ქალაქი.

მაგალითად, რამდენიმე პირს ჩემი თვალის წინ ქალებმა მიაწოდეს თეატრის ბილეთი სასყიდლად და ყველამ მგლოვიარობა მოიმიზეზა. ალბათ გორემიკინის „ოტსტავკას“ თუ ჰგლოვობენ. ასე გამოვიჩინეთ სოხუმელებმა სტუმართ-მოყვარეობა და ხელოვნებისადმი პატივისცემა. ორთავე წარმოდგენაზე თეატრი თითქმის ცარიელი იყო.

არ შემიძლიან არ აღვნიშნო არტისტების სულის სიძლიერე და ენერგია. მიუხედავად მისა, რომ თვალით ხედავდნენ საზოგადოების ეულციობას, გრძნობდნენ, რომ სხვა და სხვა ინტრიგებისა და ინსინუაციების გამო ვერ ვაკმაყოფილებდით ვერც ზნეობრივად და ვერც ნივთიერად, — ისინი მაინც სულითა და გულით ასრულებდნენ თავიანთ როლებს და დამსწრე საზოგადოებას სავსებით აკმაყოფილებდნენ. გმადლობთ ღმერთმა ენერგია და სულის ძალა; ნუ შეუშინდებით ამგვარს დაბრკოლებას და ჩვეულებრივის ენერგიით განაგრძეთ თქვენი წმინდა და ნაყოფიერი შრომა. მართალია, ეხლა რომელიმე ღიპიანი ბურჟუა საკრებულოში „ფრაასში“ ას თუმანს უფრო სიამოვნებით წააგებს, ვიდრე თეატრში თავისი წვლილი შემოიტანოს და თქვენი შრომა დააფასოს, მაგრამ ერთ წუთხედ ნუ გაიტარებთ გულში რომ თქვენმა შრომამ უნაყოფოთ ჩაიაროს.... გასწით წინ, იმუშავეთ, მომავალი მაინც თქვენია. ნურც ზოგიერთ შეუგნებელ სოც.-დემოკრატების ინტერესები შეგაშინებსთ... ისინი ჯერ გაუხედნელ პირუტყვს წააგვანან და როდესაც დაშინაურდებიან, თავიანთი წარსული მოქმედებისა თითონვე შერცხვებათ.

დიდი მადლობის ღირსია კნ. მ. ანჩაბაძისა, რომელმაც დასს ჩამოსვლისათანავე ბოლომდე დიდი დახმარება გაუწია.

არავინ.

---

წმუნოებამ ისე როგორც დღეს სოც.-დემოკრატიულმა მიიღო ისეთი მიმართულება რომელიც უფრო შეესაბამებოდა მიწიერ ცხოვრებას, დროს. სახელმწიფო და ქრისტიანიზმი მიუხვდნენ ერთი მეორეს როგორც იქმნა. სახელმწიფო ქრისტიანიზმში ხედავდა საშვალებას, რომელსაც უნდა შეეკავშირებია სახელმწიფოს დაუდეგარი ნაწილები; ქრისტიანიზმი ხედავდა რომაულ სახელმწიფოს მკაცრ დისციპლინას როგორც მიზეზს რომის სიმძლავრისას და ცდილობდა გამოეყენებინა რომის როგორც სიმძლავრე ისე დისციპლინა თავის სასარგებლოდ.

შერიგდნენ. რომის სახელმწიფო გაქრისტიანდა — ქრისტიანიზმი გასახელმწიფოებრივდა, სწორედ ისე, როგორც დღეს სოც.-დემოკრატია გასახელმწიფოებრივდა და სახელმწიფონი გასოციალდემოკრატდენ.

ებრაულმა მარცვალმა ბერძნულ მეტაფიზიკის, ნიადაგში ჩათესილმა და რომაულ პოლიტიკის ჰაერზე გაზრდილმა — რწმენამ ერთად ერთი ღმერთისამ შეაერთდა ფინიკიელების სიმდიდრის სიხარბეს რომაელების სალდათურ დისციპლინას და უფლებას, დასახშობათ იმ ჰუჰუტანებისა საიდგანაც შეიძლებოდა თავისუფალი კულტურის გამოსვლა თავისუფალ ჰაერზე. ამგვარად ამ სამმა შეერთებულმა ბნელმა ძალებმა: სარწმუნოებამ, სახელმწიფომ და ეკონომიურმა ექსპლოატაციამ ერთხელ კიდევ გაიმარჯვეს თავისუფალ, საზოგადოებრივი კულტურის განვითარების წინაამდეგ ბრძოლაში.

ამ გვარია გავლენა წარმოდგინებით, არა რეალური ზეციერი მეფისა და მისი კანონმდებლობისა.

ვნახოდ ეხლა ჰყავს თუ არა მსოფლიოს თავის თავის გარეშე ისეთი არქიტექტორი, რომლის გეგმაზედ აშენდა მსოფლიო და რომლის ნებით, მეთაურობით — არხიით — არსებობს სამყარო.

ალი.

---

# რ უ ს ე თ ი

—

ცნობილმა სენატორმა კონიმ უარი განაცხადა მიეღო მინისტრის პორტფელი, რომელმაც დაუდო პირობა, რომ მოსპობილიყო რეპრესიები პრესსის წინაამდეგ და სრული ამნისტია ბეჭედითი საქმის დამნაშავეთათვის გამოეცხადებინათ. (XX ვეკ).

—

დღეს მოძრაობა შესწყდა ზღვის პირის რკინის გზაზედ. მუშების მიერ დაქცეულია ნლიანდაგი, სიგრძით სამი ვერსი პეტერბურგიდგან. იმათავე გააკეთეს ბარიკადა, დანგრეული ლიანდაგის მასალით. მოხდა შეტაკება პოლიციელთა და მუშებთა შორის. დილის მატარებელი არ გავიდა პეტერბურგიდან. (XX ვეკ).

—

დაახლოვებით 12 საათზედ ღამის პეტერბურგის ქარხნების უბნებში ელვასავით მოედვა, რომ საერთო გაფიცვა იწყებაო. მუშები შუაღდისას, სადილობის დროს შეიყარნენ პეტერბურგის ქიმიურ ქარხანასთან, გაგზავნეს კანსაკუთრებული დეპუტატები ქარხნებში, რომ შეეტყოთ, თუ რამდენად მომზადებულნი არიან მუშები გაფიცვისათვის. ქიმიურ ქარხნის მუშებმა გადასწყვიტეს შეუერთდნენ გაფიცვას დილის 22 ივლისს. დაბრუნებულმა დელეგატებმა განაცხადეს, რომ გოფმანის, ფრეიბერგის, შრედერის და თუჯის ლანგეზიპენის ქარხნების მუშებს გადაუწყვეტიათ შეგვიერთდნენ ჩვენ 22 ივლისო. ქუჩები სავსეა ჯარით, პოლიციელებით და ყაზახებით. (XX ვეკ.)

—

სადგურ ბეტერბურგში, სესტრორეცკის რკინის გზაზედ, მოხდა შეტაკება მუშებს და პოლიციელთა შორის, რომელნიც გამოგზავნილ იყვნენ, მიეღოთ ზომები რომ მუშებს თავი არ დაენებებინათ მუშაობისათვის. შეტაკების დროს მოკლულია 8 პოლიციელი. (XX ვ.).

—

როდესაც კრონშტატში „კონსტანტინეს“ ფორტი დანებდა, დროებით კომენდატის თანამდეობის აღმასრულებელმა გენერალ-მაიორ ადლერბერგმა გასცა ბრძანება, გაეგზავნათ დასავლეთისაკენ შეიარაღებული ბარკასები ჯავშნიან გემ „იმპერატორი ალექსანდრე II“-ისაგან, რომ არ გაეშოთ გაპარულიყვნენ მეამბოხენი „კონსტანტინეს“ ფორტისა. მაგრამ მატროსებმა უარი განაცხადეს, რომ ჩვენ მათ ვერ ვესვრითო, რის შემდეგაც მთელ კამანდას იარაღი აჰყარეს და დააპატიმრეს. (XX ვეკ)

—

გუშინდლამდე დაპატიმრებულნი არიან 18 პირი, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს გერცენშტეინის მოკვლაში. (XX ვეკ).

—

სამხედრო სამინისტროში ძალიან დადის ხმები, რომ ვითომ ტრეპოვი ინიშნება სამხედრო მინისტრად, რედიგერის ნაცვლად, რომელიც გამოდის სამსახურიდგან. (XX ვეკ).

---

# დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენ ).

—

**მოსკოვი.** მესამე მეშჩანურ ქუჩაზედ აღმოაჩინეს ფარული ლაბორატორია. იპოვეს მრავალი ასაფეთქებელი ნივთიერება და მოწყობილობანი. ბინის პატრონი დაპატიმრებულია.

— ტიხვინის ქუჩაზე მეგდენის სახლში, აღმოაჩინეს ფარული სტამბა რევოლიუციონერთა კომიტეტისა.

— თათრის ქუჩაზე აღმოაჩინეს ყუმბარების საკეთებელი ლაბორატორია.

**კიევი.** რკინის გზის მსახური კაზუტოვი, რომელიც ოქტომბრის გაფიცვის დროს, ამხანაგებმა ჩააგდეს ადუღებულ ქვაბში, ამ დღეებში იგი გამოეწერა საავადმყოფოდგან. იგი ღამით მოჰკლეს.

**ეკატერინოსლავი.** ნიჟნედნეპროვსკაში ვაგონების სახელოსნოში მოჰკლეს ოსტატი ჩელნიკოვი. რომელიც ურჩევდა მთავრობას ნუ მოუმატებს ჯამაგირებს მუშებსო.

**ბერლინი.** რუსეთის ელჩმა განაცხადა, რომ რუსეთში აკრძალულია იარაღის შეტანა, პრუსიის საზღვრიდგან.

**პარიჟი.** უკანასკნელი ცნობით გემ „სირია“-ზე დაიღუპა 270, გადარჩა 522 კაცი.

**ბახმუტი.** დინამიტურ საწყობიდგან რუჩენკოვსკის სამთომრეწველობის საზოგადოებისგან გაიტაცეს 13 ფუთი და 20 გირვანქა დინამიტი.

**ვილნა.** 26 ივლისს ღამით წმინდა იაკობის საავადმყოფოდგან გაიპარა მატროსი „გეორგი პობედონოსეც“—ის გემისა, ალექსეევი და პოლიტიკური დამნაშავე ლიტვინოვი.

**ვარშავა.** გენერალ-გუბერნატორმა გამოსცა დადგენილება თუ კვლავ კიდევ დაეცემიან სახაზინო და საზოგადო დაწესებულებებს, მატერიალურ ზარალი გადახდებად ადგილობრივი მკვიდრთ. თუ მცხოვრებმა განუცხადეს უარი ისინი დაისჯებიან. ციხეში დაპატიმრებით ან 3000 მანეთი ჯარიმით.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა, ითხოვეს უმაღლესი ნებართვა, რომ გადაიდვას 55 მილიონი მანეთი საკვებ სურსათისთვის.

---

რედაქტორ გამომცემელი

მიხეილ დიასამიძე

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგის“, სასახლის ქუჩ., სახლი ქრ. თავ.-აზნაურობისა.